

დღეს მსოფლიო წყლის რესურსების დაცვის საერთაშორისო დღეა



22 მარტს წყლის რესურსების დაცვის საერთაშორისო დღე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებით აღინიშნება. ამ დღის დაწესებისა და აღნიშვნის მიზანია, მსოფლიო საზოგადოებას კიდევ ერთხელ შეახსენოს, როგორი მნიშვნელობა აქვს წყლის რესურსების მოფრთხილებას და მის დაცვას.

მსოფლიო წყლის რესურსების დაცვის საერთაშორისო დღის აღსანიშნავად, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგიდემ, ნინო თანდირაშვიდმა, გარემოს ეროვნული სააგენტოს სპეციალისტებთან ერთად, თბილისის ზღვაზე წყლის სინჯების აღების პროცესში მიიღო მონაწილეობა.

სპეციალისტებმა აღებულ სინჯებში წყლის ფიზიკურ-ქიმიური პარამეტრები ადგირზე განსაზღვრეს, ქიმიური და მიკრობიოლოგიური კვდევები გარემოს ეროვნული სააგენტოს ლაბორატორიაში ჩატარდება. მიღებული შედეგები ათ დღეში გახდება ცნობილი. გარემოს ეროვნული სააგენტო საქართველოს მასშტაბით ზედაპირული წყლების მუდმივ მონიტორინგს ახორციელებს და წყლის ხარისხს მდინარეების და ტბების 150-მდე წერტილში იკვდევს.

აღსანიშნავია, რომ ამ ეტაპზე საქართველოში აქტიურად მიმდინარეობს წყლის რესურსების მართვის შესახებ ახალ კანონპროექტზე მუშაობა, რაც ევროკავშირის წყლის კანონმდებლობასთან ჰარმონიზებას ითვარისწინებს. ასევე, მნიშვნელოვანი სამუშაოები ხორციელდება

საქართველოში წყლის რესურსების სააუზო მართვის დანერგვის მიზნით.